საქართველოს კანონი

„სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №26, 5.09.2003, მუხ. 195) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2. საბანკო საქმიანობის, მიკრობანკის საქმიანობისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის საქმიანობის სალიცენზიო მოსაკრებლების განაკვეთები:

ა) საბანკო საქმიანობა – 200 000 ლარი;

ბ) მიკრობანკის საქმიანობა – 100 000 ლარი;

გ) არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების – საკრედიტო კავშირის საქმიანობა – 10 000 ლარი.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2023 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

22 თებერვალი 2023 წ.

N2612-XIმს-Xმპ